დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის

შრომათა კრებულის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე
(ოქმი 13)

2019 წელი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული ყოველწლიური რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალია.
2. კრებულში შრომები იბეჭდება ინსტიტუტის სამი მთავარი მიმართულებით: მართვის თეორია, მართვის სისტემების დამუშავება, მათ შორის მართვის პროცესები ენერგეტიკულ სისტემებში, და ინფორმატიკა. სტატიის წარდგენისას, ავტორმა უნდა მიუთითოს აღნიშნული მიმართულებებიდან ერთ-ერთი, რომელსაც ესადაგება ნაშრომი.
3. კრებულის დაბეჭდვა ფინანსდება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის (32 05 04) ფარგლებში. ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.
4. სტატია უნდა იყოს ინფორმაციული, აქტუალური და თანამედროვე. მასში მოცემული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევის ჩატარების მეთოდები, კვლევის შედეგები და შედეგების გამოყენების არეალი. ავტორები პასუხისმგებლები არიან სტატიის შინაარსზე.
5. კრებული გამოიცემა ნაბეჭდი სახით. ელექტრონული ვერსია განთავსებულია არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ვებგვერდზე http://gtu.ge/msi/Menu/Publications/Years/ და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.
6. ჟურნალს მინიჭებული აქვს საერთაშორისო ინდექსი, სერიულ გამოცემათა საერთაშორისო ნომერი ISSN 0135-0765.
7. ჟურნალი რეფერირებადია; ინდექსირებულია საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციების მონაცემთა ბაზაში www.techinformi.ge.
8. შრომათა კრებული შეტანილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჟურნალთა ნუსხაში.
9. კრებული იბეჭდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით; იგზავნება ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებში.
10. კრებულში ძირითადად იბეჭდება მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგები. ასევე გარედან შემოსული სხვა ავტორთა ნაშრომები. სტატიების წარდგენა შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
11. წარმოდგენილი სტატიები გადის შიდა რეცენზირებას. გამონაკლის შემთხვევაში, რედკოლეგიის გადაწყვეტილებით, სარეცენზიოდ იგზავნება შესაბამის სპეციალისტთან.
12. მთავარი რედაქტორის გადაწყვეტილებით, ყოველი ნომრის მომზადების წინ იქმნება დროებითი დარგობრივი სარედაქციო ჯგუფები (კრებულის მიმართულებების მიხედვით), რომლებსაც ხელმძღვანელობენ მთავარი რედაქტორის მოადგილეები. თითოეული ჯგუფი განიხილავს დარგის შესაბამის სამეცნიერო სტატიებს, რეკომენდაციას იძლევა რედკოლეგიის წინაშე დაბეჭდვის, გარე რეცენზენტთან გაგზავნის ან არდაბეჭდვის თაობაზე.

შენიშვნა
ცვლილებები დებულებაში:

1. პუნქტი 5.
სტუ ვებგვერდის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შეიცვალა ინსტიტუტის ვებგვერდის მისამართი. შესაბამისად, პუნქტი 5 ჩამოყალიბდა ასე:
5. კრებული გამოიცემა ნაბეჭდი სახით. ელექტრონული ვერსია განთავსებულია არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ვებგვერდზე შრომათა კრებულები – არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი (gtu.ge) და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

2. პუნქტი 6.
ინსტიტუტის შრომათა კრებულისთვის ციფრული იდენტიფიკატორის (DOI) მინიჭებასთან დაკავშირებით პუნქტი 5 ჩამოყალიბდა ასე:
6. ჟურნალს მინიჭებული აქვს საერთაშორისო ინდექსი, სერიულ გამოცემათა საერთაშორისო ნომერი ISSN 0135-0765 და ციფრული ობიექტის იდენტეფიკატორი - DOI: https://doi.org/10.36073/0135-0765.

3. დაემატოს პუნქტი 13.
13. წარმოდგენილი სტატიები მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამით https://www.cudekai.com/

ცვლილებები დამტკიცებულია
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 18 მარტის სხდომაზე
(ოქმი 4)